დანართი №2

სსიპ კოლეჯი "ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია"

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ეკა ლუაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

წევრი:

ვანო ოთხოზორია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ.თბილისი, 2019 წ)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **კოლეჯი "ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია"**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **205339944**
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქალაქი, 2019 წ)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ (შემდგომში - კოლეჯი) არის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ფუნქციონირებს 2007 წლიდან. სწავლება ხორციელდება სამი მიმართულებით: ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამები, მოკლევადიანი ტრენინგ-კურსები და ზრდასრულთა პროფესიული მომზადების პროგრამები. კოლეჯის 12 წლიანი მოღვაწეობის განმავლობაში დასახელებული მიმართულებებით შესაბამისი პროგრამები და კურსები გაიარა ათასობით პირმა. კოლეჯის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი გასული წლის (2018 წელი) მონაცემებით 96%-ია.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 06 აგვისტოს №683-ე ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2019 წლის 15 და 16 აგვისტოს განახორციელა ვიზიტი სსიპ კოლეჯში „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ვებტექნოლოგიების “ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. შემოწმება განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე დასკვნას.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული შიდა მარეგულირებელი აქტები და შეფასდა კოლეჯის მიერ მათი იმპლემენტაციის შედეგები, რისთვისაც ჩატარდა გასაუბრება კოლეჯის წარმომადგენლებთან (ადმინისტრცია, პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები), პრაქტიკის მენეჯერთან და პრაქტიკის განმახოციელებელი კომპანიის წარმომადგენელთან, ასევე გამოთხოვილ და შეფასებულ იქნა დოკუმენტაცია პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან თავსებადობის დადგენის მიზნით. ექსპერტებმა დავათვალიერეთ კოლეჯის ინფრასტრუქტურა, პრაქტიკის ობიეტი და შევაფასეთ მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შესაბამისი რესურსები ახალი პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის და ავტორიზაციის სტანდარტებთან თვასებადობის კონტექსტში.

ზემოთ აღწერილი აქტივობების შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯი, წარმატებით უძღვება საგანმანათლებლო საქმიანობას, რაც განპირობებულია ძირთადად სამი ფაქტორით: 1.კოლეჯი წარმოდგენილია კომპეტენტური გამოცდილი და მოტივირებული ადმინისტრაციული პერსონალით; 2. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები მაღალი პოტენციის მქონე, შრომის/ და განათლების ბაზარზე მოთხოვნადი ადამიანებით არის დაკომპლექტებული. 3. კოლეჯს აქვს ძალინ კარგი გამოცდილება დამსაქმებლებთან ურთიერთობის და ჰყავს ძლიერი და სტაბილური პარტნიორები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ.თბილისი, 2019 წ)

რომელიც არამხოლოდ ასაქმებენ კოლეჯის კურსდამთავრებულებს, არამედ აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის დაგეგმვის, განხოცილების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში. აღნიშნული აძლევს ექსპერტებს იმის თქმის საშუალებას, რომ კოლეჯის ზემოთ დასახელებული ფაქტორები ინსტიტუციის ძლიერი მხარეა.

ექსპერტები მიესალმებიან რომ კოლეჯში წარმატებულად არის დანერგილი ანგარიშვალდებულების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის გამჭირვალობასა და შეფასებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებას; რომელიც თავის მხრივ ქმნის პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს.

ყოველივე ზემოთ განხილული, ექსპერტთა ჯგუფს აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ კოლეჯის მიერ ახალი პროგრამის დამატება გააზრებულია ინსტიტუციის სტრატეგიული განვითარების კონტექსტში, ხოლო ქვემო მოცემული ავტორიზაციის სტანდარტებთან თავსებადობის შეფასების შედეგები ცხადყოფს, რომ კოლეჯი წარმატებით გაუძღვება ახალი პროგრამის (ვებტექნოლოგიები) განხორციელების პროცესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ.თბილისი, 2019 წ)

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

საგანმანათლებლო პროგრამის: „ვებტექნოლოგიები“, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		მუხლი 6	☐	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	მუხლი 6 / პუნქტი ა)	☐	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების	მუხლი 6 / პუნქტი ბ)	☐	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.			
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	მუხლი 6 / პუნქტი გ)		
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	მუხლი 6 / პუნქტი დ)		
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 6 / პუნქტი ე)		
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	მუხლი 6 / პუნქტი ვ)		
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		მუხლი 7		
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების	მუხლი 7 / პუნქტი ა)		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:			
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი. გარდა-იმ შემთხვევისა. როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)		
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)		
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	მუხლი 7 / პუნქტი ბ)		
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	მუხლი 7 / პუნქტი გ)		
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში. ასევე, დაწესებულების მართვაში;	მუხლი 7 / პუნქტი დ)		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	მუხლი 7 / პუნქტი ე)		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. რისთვისაც არსებობს	მუხლი 7 / პუნქტი ვ)		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)		
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ.თბილისი, 2019 წ)

2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)		
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)		
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული- გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	მუხლი 7 / პუნქტი ზ)		
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	მუხლი 7 / პუნქტი თ)		
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	მუხლი 7 / პუნქტი ი)		
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		მუხლი 8		
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	მუხლი 8 / პუნქტი ა)		
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	მუხლი 8 / პუნქტი ბ)		
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი	მუხლი 8 / პუნქტი გ)		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ.თბილისი, 2019 წ)

	პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.			

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ესპერტთა ჯგუფმა გამოკვეთა კოლეჯის ძლიერი მხარეები, რომელიც ზემოთ იქნა დასახელებული, საუკეთესო გამოცდილება არ გამოვლენილა.

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

შეფასების შედეგად ხარვეზი არ გამოვლენილა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

შეფასების შედეგად რეკომენდაცია არ განსაზღვრულა. ამასთანავე კოლეჯს გაზიარებული აქვს ავტორიზაციის ექსპერტთა წინა შეფასებისას განსაზღვრული რეკომენდაციები.

VII. დაწესებულების მისია

ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებით ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა/გამოყენების ხელშეწყობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ.თბილისი, 2019 წ)

სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯი გეგმავს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები" განხორციელებას.

პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის №57 ბრძანებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ ვებტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა კრედიტებსა და საათებში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა განპირობებულია საქართველოს შრომის ბაზრის კვლევის შედეგების, ბოლო წლებში ქვეყანაში ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების ანალიზის საფუძველზე: HR.GE-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების 17,2%-ს IT სპეციალისტები შეადგენს, სპეციალისტების ქვეჯგუფში წარმოდგენილი ვაკანსიები დაკავშირებულია მაღალინტელექტუალურ და ტექნოლოგიურ შრომასთან და საკვალიფიკაციო მოთხოვნაა პროფესიული განათლება. სპეციალისტებიდან საკმაოდ სოლიდური რაოდენობის ვაკანსია დაფიქსირდა ვებტექნოლოგიების მიმართულებით (10.3%).

აღნიშნული მიმართულებით „ვებ ინტერფეისის დიზაინერისა" და „ვებინტერფეისის დეველოპერის" არსებული პროგრამების მოქმედების ვადა იწურება და მათი გაერთიანებისა და გაძლიერების შედეგად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ.თბილისი, 2019 წ)

შემუშავებული „ვებტექნოლოგიების" პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება საჭიროა IT მიმართულების მონოპროფილური კოლეჯისთვის.

პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, სასწავლო გეგმა, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. მოდულებში მოცემულია შეფასების მიმართულებები, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები" –

პროფესიული პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (სარეგისტრაციო ნომერი - 06114) საფუძველზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში/ Secondary Vocational Qualification in Web Technology, კვალიფიკაციის კოდი- 0612

პროგრამას დანართის სახით ახლავს მოდულები, პროგრამის განხორციელების გეგმა, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია.

პროგრამა ითვალისწინებს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 17 კრედიტის მოცულობით და 9 პროფესიულ მოდულს - ჯამური 46 კრედიტის მოცულობით. ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 63 კრედიტი. სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაა 12 სასწავლო თვე.

მოდულების, ქართული ენა A2 (15 კრედიტი) და ქართული ენა B1 (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. შესაბამისად, კვალიფიკაციის მისანიჭებლად მათ უნდა დააგროვონ ჯამურად 93 კრედიტი. სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაა 16 სასწავლო თვე.

პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არის 40 საათზე ნაკლები, სასწავლო გეგმა შედგენილია მოდულების წინაპირობების გათვალისწინებით და გათვალისწინებულია სწავლის შედეგების შესაძლო ხელახალი დადასტურებისთვის გონივრული ვადა.

პროფესიულ სტუდენტთა სწავლის პერიოდში მიღებული თეორიული და და პრაქტიკული ცოდნის რეალურ სამუშაო გარემოში რეალიზაციისა და პროფესიულ საქმიანობაში გამოცდილების მიღების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, 2019 წ)

მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები: შპს „Cool Group"; შპს „ბეტა" და შპს „იუდიჯი"-სთან.

ვიზიტის მეორე სამუშაო დღეს ექსპერტების მიერ მოხდა პრაქტიკის ობიექტის ადგილზე დათვალიერება, სადაც შესაძლებელი გახდა პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებმა დაადასტურეს კოლეჯთან თანამშრომლობა და ისაუბრეს საწარმოო პრაქტიკის განხორციელების გზებზე. ექსპერტებმა დაათვალიერეს და შეისწავლეს პრაქტიკისთვის საჭირო პირობების არსებობა. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, პრაქტიკის მენეჯერთან, პროფესიულ განათლების მასწავლებლებთან და პრაქტიკის განმახორციელებლებთან სწავლების პროცესსა და პრაქტიკის განხორციელების თაობაზე, რამაც აჩვენა, რომ კოლეჯი წარმოადგენს მნიშვნელოვან პარტნიორს დამსაქმებლებისთვის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების კუთხით. აღსანიშნავია, რომ კომპანია/კომპნიები, რომელშიც უნდა განხორციელდეს პრაქტიკა, დაკომპლექტებულია კოლეჯის წარმატებული კურსდამთავრებულებით.

სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია", გეგმავს პროფესიული პროგრამის განხორციელებას **ქალაქ თბილისში, ფანჯიკიძის ქუჩა N 3.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება №57 25/07/2019წ;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პრაქტიკის შესახებ.
- კოლეჯსი და პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებული გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა კატალოგი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. კატალოგი განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

კოლეჯს ვებგვერდზე განთავსებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) 2019, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, ინფორმაცია წარმატებული პროექტებისა და პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შესახებ, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ, რომელთა განხორციელების უფლება აქვს. ვებტექნოლოგიების პროფესიული საგნანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია კატალოგში ჯერ არ არის ასახული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) 2019;
- კოლეჯის ვებ გვერდზე განთავსებული კატალოგი.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯის მიერ მოწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფის შესწავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგია" სწავლის შედეგები, შეესაბამება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს და ასახავს მოდულებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების წესებს, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში, კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობის ფორმები. ასევე კოლეჯმა გაითვალისწინა ექსპერტთა წინა ჯგუფის რეკომენდაცია და განსაზღვრა უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პირობები, რომელიც ასევე შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.
ვიზიტისას ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი რეგულაციების პრაქტიკაში რეალიზების საკითხი. შემთხვევითი პრინციპით იქნა შერჩეული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და შემოწმდა ის დოკუმენტაცია, რომელიც მათ ჩარიცხვასთან იყო დაკავშირებული. შეფასებამ ცხადყო, რომ კოლეჯი ზედმიწევნით ასრულებს, როგორც საკანონმდებლო, ასევე საკუთარი რეგულაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კოლეჯი ასევე კანონმდებლობის დაცვით ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრის წარმოებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის შიდა რეგულაციები;
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრი.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს. რის მიხედვითაც, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას. პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც ხორციელდება იგივე საგანმანათლებლო პროგრამა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში აწვდის ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტს არსებული დაფინანსების წესის შესახებ.

ვებტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯს მემორანდუმი გაფორმებული აქვს შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:
- სსიპ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“, 26.04.2017, განუსაზღვრელი ვადით;
- სსიპ „სპექტრი“ , 06.12.2017, 3 წლის ვადით;
- სსიპ „ახალი ტალღა“, 21.07.2018, განუსაზღვრელი ვადით;
- სსიპ „მერმისი“, 26.04.2017, განუსაზღვრელი ვადით;
- სსიპ „მოდუსი“, 12.07.2018, განუსაზღვრელი ვადით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
- კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- კოლეჯებთან გაფორმებული მემორანდუმები.

შეფასება:
■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 29 მაისის №152 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის მართვის მექანიზმები". კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი არის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამების მენეჯერი, რომლის სამუშაო აღწერილობა გაწერილია კოლეჯის დირექტორის მიერ 2018 წლის 12 ივლისის №226 ბრძანებით. კოლეჯში იქმნება ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ადგენს სამოქმედო გეგმას. ხარისხის ჯგუფის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ლექციებსა და შეფასების პროცესზე დასწრებებს, სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვებს, ტრენინგების ჩატარებას, კალენდარული გეგმების, შეფასების ინსტრუმენტებისა და სწავლის შედეგების მტკიცებულებების მონიტორინგს, ანგარიშების მომზადებას. კოლეჯი ითვალისწინებს ჯგუფის რეკომენდაციებს. კერძოდ, ჯგუფის ანგარიშის საფუძველზე განხორციელებულია ცვლილებები სასწავლო პროცესის მართვის წესში. ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამების მენეჯერთან გასაუბრებისას ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ მას გათვიცნობიერებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და უზრუნველყოფს მათ რეალიზებას. ხარისხის მართვის მენეჯერი არის კომპეტენტური და გამოცდილი პირი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის ხარისხის მართვის მექანიზმები;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობის დამტკიცების შესახებ 12.07.2018, ბრძ. N226;
- ხარისხის მართვის ჯგუფის სამოქმედო გეგმა, ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამების მენეჯერთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ.თბილისი, 2019 წ)

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის მისამართია ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. 1ა (რეესტრის მიხედვით, ბუდაპეშტის ქ.N1). შენობა-ნაგებობის (რეესტრის მიხედვით ნაგებობა N1; N2) და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა სახელმწიფო და კოლეჯისთვის სარგებლობის უფლებით (კოლეჯის არსებობის ვადით) აქვს გადაცემული 5 სართულიანი შენობა. ძირითადი შენობა-ნაგებობის ფართია 3083.27 მ2, დამხმარე ნაგებობის (საქვაბე) ფართი კი 92,19 მ^2.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. 3; [redacted]	3175,46

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტი.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ცხრილის მიხედვით კოლეჯი ფლობს და სასწავლო მიზნებისთვის იყენებს სათანადო ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო ფართს.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის N14 გადაწყვეტილებით სსიპ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას" განესაზღვრა ინფორმაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ტექნოლოგიების მიმართულებით სტუდენტთა მისაღები ადგილების ზღვრული რაოდენობა - 770. ვიზიტს წინ უსწრებდა ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განისაზღვრა 621.

ვებტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის კოლეჯს გამოყოფილი **აქვს 8 აუდიტორია (B/C გარემო),** რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ყველა ინვენტარით, კერძოდ:

1) **აუდიტორია 203** - 17 პერსონალური კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული სტუდენტისთვის, სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო ყველა ფუნქციონალური შესაძლებლობით და 1 პერსონალური კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; პროექტორია;
2) **აუდიტორია 303** - 16 პერსონალური კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული სტუდენტისთვის, სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო ყველა ფუნქციონალური შესაძლებლობით და 1 პერსონალური კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; პროექტორი.
3) **აუდიტორია 401** - 14 პერსონალური კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული სტუდენტისთვის, სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო ყველა ფუნქციონალური შესაძლებლობით და 1 პერსონალური კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; პროექტორი.
4) **აუდიტორია 402** - 13 პერსონალური კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული სტუდენტისთვის, სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო ყველა ფუნქციონალური შესაძლებლობით და 1 პერსონალური კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; პროექტორი.
5) **აუდიტორია 403** - 14 პერსონალური კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული სტუდენტისთვის, სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო ყველა ფუნქციონალური შესაძლებლობით და 1 პერსონალური კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; პროექტორი.
6) **აუდიტორია 404** - 14 პერსონალური კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული სტუდენტისთვის, სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო ყველა ფუნქციონალური შესაძლებლობით და 1 პერსონალური კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; პროექტორი.
7) **აუდიტორია 405** - 14 პერსონალური კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული სტუდენტისთვის, სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო ყველა ფუნქციონალური შესაძლებლობით და 1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პერსონალური კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; პროექტორი.

8) **აუდიტორია 406** - 14 პერსონალური კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული სტუდენტისთვის, სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო ყველა ფუნქციონალური შესაძლებლობით და 1 პერსონალური კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; პროექტორი.

ჯამურად 8 სასწავლო გარემოში დაკომპლექტებულია 116 პერსონალური კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული სტუდენტისთვის და 8 პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

კოლეჯის მიერ „ვებტექნოლოგიების" პროგრამაზე მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 224 პროფესიული სტუდენტი - „ვებტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება B/C გარემოს სამუშაო ადგილების რაოდენობის ჯამის 2-ზე გამრავლებით რვა აუდიტორიის ორ ცვლაში გამოყენების პრინციპით - ჯამში 224 პროფესიული სტუდენტი".

ადგილზე გადამოწმებით დასტურდება მოთხოვნილი ზღვრული კონტიგენტის სწავლების შესაძლებლობა 2 ცვლაში მუშაობის პირობებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები);
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ.თბილისი, 2019 წ)

კოლეჯში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა აუდიტორია და ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა.

სველი წერტილები განთავსებულია შენობის ყველა სართულზე. სველი წერტილები გამიჯნულია ქალებისა და მამაკაცებისათვის. კოლეჯის მე-3 სართულზე არსებული სველი წერტილები ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი სრულადაა წარმოდგენილი და ელექტრონულ ფორმატში ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში.

საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია ბეჭდურ კატალოგში, წიგნადი ფონდი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. ელექტრონული წიგნები ჩატვირთულია სამკითხველო დარბაზში დამონტაჟებულ კომპიუტერებში. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში გაწევრიანებული კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ.თბილისი, 2019 წ)

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 11 პერსონალური კომპიუტერი და საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი).

კოლეჯს შემუშავებული აქვს „ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი", რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია ვებგვერდზე.

კოლეჯს შესყიდული აქვს სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მომსახურების სისტემით სარგებლობის უფლება.

კოლეჯში საბიბლიოთეკო საქმეს წარმართავს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივლისის №226 ბრძანებით დამტკიცებულ თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობის დამტკიცების შესახებ 12.07.2018, ბრძ. N226;
- სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მომსახურების სისტემით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- კოლეჯის წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს აქვს 442 სამაგიდო და 29 პორტატული კომპიუტერი, აქედან საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოიყენება 418 სამაგიდო და 24 პორტატული, ხოლო ადმინისტრაციისთვის - 31 სამაგიდო და 5 პორტატული კომპიუტერი.

სართულებზე დამონტაჟებულია ქსელური მოწყობილობები, საიდანაც კოლეჯის ყველა სართულზე ვრცელდება სადენიანი და უსადენო ინტერნეტ კავშირი. უსადენო წვდომის წერტილი დამონტაჟებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ყველა სართულზე და ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის.
კოლეჯის მართვის პროცესში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა, ვებგვერდი, სოციალური ქსელი. კოლეჯი ჩართულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში.
ვებგვერდი დომენური სახელით - "itvet.ge" წარმოადგენს საინფორმაციო წყაროს დაინტერესებული პირებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დოკუმენტები;
- ვებგვერდი www.itvet.ge;
- ვიზუალური დათვალიერება;
- კოლეჯის წარმოამადგენლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯში საქმისწარმოება რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 28 აპრილის №27 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესით." კოლეჯში გამოყოფილია საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივლისის №226 ბრძანებით. კოლეჯში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპოდენციის აღრიცხვა შიდა მარეგულირებელი აქტის მიხედვით. კოლეჯი ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (e-flow.emis.ge). კოლეჯის წარმომადგენელთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ კოლეჯი საქმისწარმოების წესის მიხედვით, დოკუმენტების რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრუნულ პროგრამასა (e-flow.emis.ge) და ელექტრონულ ჟურნალებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის საქმისწარმოების წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ.თბილისი, 2019 წ)

- კოლეჯის დირექტორის ბრძანება თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობის დამტკიცების შესახებ 12.07.2018, ბრძ. N226;
- საქმისწარმოების წესით დამუშავებული დოკუმენტები;
- e-flow.emis.ge.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

კოლეჯში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფისათვის, კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 21 აგვისტოს №257 ბრძანებით პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მენეჯერი.
კოლეჯში იწარმოება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი (ჟურნალის წარმოება დაწყებულია 08/11/2018).
შენობის ყველა სართულზე წარმოდგენილია 3-3 ცალი ექსპლუატაციისთვის ვარგისი ცეცხლმაქრი.

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა

კოლეჯში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და ევაკუაციის წარმართვის პროცედურა.

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ.თბილისი, 2019 წ)

სამედიცინო დახმარებისათვის კოლეჯში არსებობს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით და პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებებით, მათ შორის: მრავალფუნქციური საწოლითა და მაგიდით.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

კოლეჯის შიდა და გარე პერიმეტრს იცავს ელექტრონული დაცვის სისტემა, დამონტაჟებულია ვიდეო-კამერები.
წესრიგსა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია დარაჯი, რომლის მოვალეობაშიც შედის (ბრძანება N226, 12.07.2018), შენობის 24 საათიანი დაცვა, ტურნიკეტების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, ვიდეოსათვალთვალო სისტემის კონტროლი. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 იანვრის №15 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯში ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების წესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის ბრძანება თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობის დამტკიცების შესახებ 12.07.2018, ბრძ. N226;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება - სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების უზრუნევლყოფის თაობაზე, 21.08.2018, ბრძ. N257;
- კოლეჯში ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების წესი, 23.01.2018, ბრძ.№15
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. შენობის შიდა ეზოდან შესაძლებელია პანდუსით სარგებლობა. შენობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფუნქციონირებს ლიფტი, რომლითაც შესაძლებელია სსსმ პირთა გადაადგილება. სსსმ პირებისათვის ადაპტირებული სველი წერტილი განლაგებულია შენობის მესამე სართულზე. დაწესებულებაში გამოყოფილია პირი (თანამშრომელი), რომელიც უზრუნველყოფს შშმ პროფესიულ სტუდენტთა მომსახურებას და დაწესებულებას ჰყავს ჟესტური ენის თარჯიმანი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ჟესტური ენის თარჯიმანის პირადი საქმე
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის ვებ-გვერდია www.itvet.ge, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის შესახებ შემდეგი ინფორმაცია: სიახლეები, მისია და ხედვა, სტრუქტურა, დაწესებულების სამართლებრივი აქტები, საგანმანათლებლო პროგრამები, „კატალოგი", ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ელექტრონული კატალოგი, ინფორმაცია მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ, კოლეჯის განვითარების გეგმები, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტო გალერეა და სხვა.

ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია რეგულარულად განახლებადია და დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი. განთავსებულია კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებგვერდით itvet.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი, 2018-2023) და ერთწლიანი (2019) სამოქმედო გეგმები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ. სტრატეგიული გეგმები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. სამოქმედო გეგმებში მოცემულია კონკრეტული აქტივობების აღწერა. მასში გაწერილია: სტრატეგიული ამოცანები, დაგეგმილი აქტივობა, პასუხისმგებელი პირი, შესრულების ვადები და მოსალოდნელი შედეგები. მისასალმებელია, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების მომზადებას. კოლეჯის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ იქნა წინა წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო განვითარების გეგმები;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები.
- წინა წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებსა და ინსტრუქციებში გაწერილ მოთხოვნებს. საკვლიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის შინაგანაწესში. თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივლისის №226 ბრძანებით. კოლეჯი წარმოდგენილია, კომპეტენტური, გამოცდილი და მოტივირებული ადამიანებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირად საქმეებში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- კოლეჯის შინაგაწესი;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობის დამტკიცების შესახებ 12.07.2018, ბრძ. N226;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე ჩართულია პროფესიული განათლების 23 მასწავლებელი. კოლეჯის მიერ ვებტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 224 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 224/23 შეადგენს 9-ს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეებით და მათთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იგეგმება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მაღალი პოტენციალის მქონე პერსონალის მიერ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- პაროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის შინაგანაწესის მე-10 მუხლი არეგულირებს პერსონალის შერჩევის წესს, რის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებელი სამსახურში მიიღება პირადი განცხადების საფუძველზე. კოლეჯის დირექტორის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებელთან იდება შრომითი ხელშეკრულება. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან კოლეჯში მოქმედი სხვა პროგრამის ფარგლებში, ხელშეკრულება დადებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. „ვებტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების მზაობის დასადასტურებლად, კოლეჯმა წარმოადგინა შეთანხმება პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და კოლეჯის დირექტორს შორის, რომელიც განუყოფელი ნაწილია აღნიშნულ პირებთან უკვე დადებული შრომითი ხელშეკულებების და ადასტურებს მათ მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში მათ მიერ შესაბამისი მოდულის/მოდულების განხორცილების მზაობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალთან დადებული ხელშრულება და სპეციალური შეთანხმება;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- კოლეჯის შინაგანაწესი.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ვებტექნოლოგიები	მე-4 დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში 0612	63	93	ქართული	თბილისი 0160, ფანჯიკიძის N3	0	224

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი (2 ფურცელი)

26.08.2019

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---